

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2017 წლის 09 თებერვლის
№147 ბრძანებით

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

„ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსის ჩატარებასთან დაკავშირებით ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსის ჩატარება.

2. „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსის ჩატარების მიზანია .გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია (საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, .ოკუპაციური თერაპია და სხვა), 15 გაკვეთილი თვის განმავლობაში. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2017 წლის თებერვლიდან 2017 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები 3-დან 14 წლის ასაკის ჩათვლით, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0-F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 3-დან 14 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვები.

6. „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

7. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ 6 თვე;

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები.

„ახალშობილთა სკრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსის ღონისძიებების, ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0422) 24-63-02; 577 302659; მარინა რუხაძე.